ხუთშაბათი, 21 ივნისი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 133

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს [illegible] დაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] სუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისრი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს.
პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.
პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.
ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.
ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/I-65
№ 1

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**გინიკ. და ვენერიულ.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—76)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

**ქუთაისში**
ექიმი მაცრიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—32)

ლამბაშიძის
## სანატორიუმი
პატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—19)

## სამკურნალო
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
**მიდება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.**
**მიხეილ ბებუთოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
**ა. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ა. გ. ბვენტინოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. კიმონწი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**ბ. ა. ზეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ა. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 60 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—79)

**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**
## ფერხული
ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**
გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის“ გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.** (10—უ—1)

**ამა 1907 წ. თიბათვის 20-დან**
## ქ. სიღნაღში
**იხსნება პირველი წიგნის მაღაზია**
## „ცოდნის წყარო“
სადაც მკითხველი საზოგადოება იშოვის ყოველგვარ **წიგნს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე** და აგრეთვე **სასწავლო და საკანცელარიო ნივთებს.**
ვთხოვ აგრეთვე **ავტორებსა და გამომცემლებს** გამოგვიგზავნონ **საკომისიოთ** თავიანთი **თხზულება გამოცემანი. ანგარიშს ვასწორებთ ყოველ სამ თვეში ერთხელ.**
ვკისრულობთ აგრეთვე **აგენტობას** და **რედაქციებს შეუძლიანთ მოგვმართონ თავიანთი პირობებით.**
გამგე მაღაზიისა **ივანე დიმიტრის ძე შავლიაშვილი**
ადრესი: г. Сигнахъ, Книж. магазинъ „Цоднисъ цкаро“ Ивану Димитріевичу г-ну Шавліашвили. (5—უ.—3)

ამ მოკლე ხანში გამოვა
ორ-კვირეული ჟურნალი
## რიყრაყი
ჟურნალში მოთავსებული იქნება: პოპულიარულ სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილები, ბელეტრისტიკა, ქრონიკა (შინაური და უცხოეთისა), ცნობილ მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიები სურათებით, ბიბლიოგრაფია და სხვა.
მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მწერლები ახალ-თაობისა.
პირველი ნომერი გამოვა 1-ლ ივლისს. №-რი შეიცავს 100-დე გვერდს და ეღირება 20 კ.
რედაქციის საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10-დან 11½ საათამდე. ფოსტის ადრესიც ესაა. (5—უ—4)

## ქუთაისში
წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების სააგენტო
## „იმერეთი“
აცხადებს, რომ „ისრის“ ქუთათურ ხელის მომწერლებს დროებით გაზეთის მიღება შეუძლიანთ სააგენტოს კანტორაში ბალახვანის ქუჩაზე (კოლხიდის ამხანაგობასთან). იქვე იყიდება როგორც „ისრისა“, ისე სხვა გაზეთების ნომრები. (4—3)

ამ ცოტა ხანში გამოვა გასასყიდად ახალი წიგნი
## . საბუელისა
სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. (3—უ.—2)

21, 22 და 23-ს ივნისს, საღამოს 7 საათზე
**ტფილისის საკრებულოში**
პეტერბურგის უნივერსიტეტის
**პრივატ დოცენტი ივ. ა. ჯავახიშვილი**
წაიკითხავს
## ქართულ ლექციებს:
„კულტურის ისტორია საქართველოს უძველეს დროიდან მოყოლებული მე-XIII-ე საუკუნემდე“.
ბილეთები 10—3 ს. იყიდება „ისრისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებში. (2—5—2)



## ბევრისამუშაო
მშრომელ ქალებსა და ვაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.
ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.
კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერკავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—42)

ტფილისის ქალაქის თავის
## თან. აღმასრულებელი
აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, ამა წლის 24 ივნისისთვის, „ტიფლისკი ს იზრანიეს“ საზაფხულო სადგომში დანიშნულია დამატებითი არჩევნები ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მეორე და მესამე საარჩევნო უბნების ამომრჩევლებმა.
უნდა აირჩიონ მეორე უბნის ამომრჩევლებმა—არა ნაკლებ ხუთის კანდიდატისა, ხოლო მესამე უბნის ამომრჩევლებმა—ერთი ხმოსანი და არა ნაკლებ ექვსის კანდიდატისა.
არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე, ამასთან კენჭის ყრა გასტანს ნაშუადღევის ორ საათამდე. კენჭს უყრიან ყველა იმ კანდიდატს, ვინც ყუთი დაიდგა 3 და 10 ივნისის არჩევნებზე, იმათ გარდა, ვინც აღარ მოისურვებს კენჭის ყრას. კენჭს უყრიან აგრეთვე ამათ, ვინც მოისურვებს ამას.
იმათ, ვისაც 10 ივნისის აღებული შესასვლელი ბილეთები დაუკარგავთ, აგრეთვე იმათ, ვისაც ბილეთები სულ არ აუღიათ, საარჩევნო სიებში კი არიან შეტანილნი, შეუძლიანთ ბილეთები აიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ან თვით საარჩევნო კრებაზე, 24 ივნისს. (3—6.—1)

ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე
აცხადებს **საყოველთაოდ**, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგისთვის **თავისუფალი ადგილები არის მხოლოდ დაბალ მოსამზადებელ განყოფილებაში,** სადაც მიიღებიან ყმაწვილები არა უმცირეს შვიდის წლისა და არა უხნეს ცხრა წლისა. უფროს განყოფილებაში და გიმნაზიურ კლასებში ჯერჯერობით არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში მისაღებად თხოვნები არ მიიღება.
მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა გიმნაზიის მოწაფეებისა მოხდება 20 აგვისტოს შემდეგ.
თხოვნების მისაღებად და სხვა ცნობების მისაცემად გიმნაზიის კანცელარია ღიაა პარასკეობით და შაბათობით, დილის ათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (4—6.—1)

ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე.
აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან გიმნაზიურ კლასებისთვის საჭიროა: ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ, რუსულ და ქართულ ენების და მათემატიკის მასწავლებლები.
**თხოვნები მიიღება ივლისის ათამდე.**
დაწვრილებითის პირობების შეტყობა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში პარასკეობით და შაბათობით დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—6—1)

**ახალი წიგნი**
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია
## „ამოხება კახეთისა“ 1812 წ.
**ა. ფრონელისა.**
ფასი ერთი მანეთი
იქვე იყიდება „**მთიულეთი 1804 წ.**“ იმავე ავტორისა. (20—უ.—13)

კვირას, 24 ამ თვეს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე
გაიმართება
## სალიტერატურო დილა
**სპარსეთის ქართველების შესახებ.**
1. **დავ. კარიჭაშვილი**: ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს.
2. **იაკ. ცინცაძე**: ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთში იქაურ ქართულ სოფლებში.
3. **ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი**: სპარსეთის ქართველების ყოფა ცხოვრება.
ფასი 1 მან. 50 კაპ.-დან 20 კაპეიკამდის. (3—უ.—1)

## კომისსია
**ფარსადანოვის ადგილებისა ვერაზედ**
იწვევს ადგილების პატრონებს მობრძანდნენ 22 თიბათვეს, საღამოს 5 საათზედ, ტფილისის საბჭოს დარბაზში (უპრავაში) ახალ კომისიის ასარჩევად და საბოლოოდ გადასაწყვეტად, თუ როგორ დაიმტკიცონ პატრონებმა ეს ადგილები. კრება ნებადართულია. (1—170—1)

### ტფილისი, 21 ივნისი

ტელეგრაფმა გვაცნობა გუშინ, რომ კლემანსომ მეორედ გაიმარჯვა პალატაში სამხრეთ საფრანგეთის ამბების გამო შეკითხვაში. ეს ამბავი მოულოდნელია, რადგან ყველანი წინასწარმეტყველობდნენ კლემანსოს კაბინეტის დამარცხებას. დეპეშაში არაა ნათქვამი, ვისგან შესდგა ის უმრავლესობა, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამინისტროს ბედი იმავ პარტიებმა გადასწყვიტეს, რომელთაც ამ ორი კვირის წინად მოიწონეს კლემანსოს პოლიტიკა სამხრეთ საფრანგეთის ამბოხების საქმეში, ე. ი., რადიკალურმა და ზომიერმა ცენტრმა, ხოლო სოციალისტები და მემარჯვენენი ისევ უმცირესობაში მოჰყვნენ.

ფრიად საყურადღებო ამბავი ხდება სამხრეთ საფრანგეთში. იგი ნათლად გვიხატავს, თუ რა უწესრიგობა ჰსუფევს თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობაში და ამტკიცებს ამ ეკონომიურ ფორმის უვარგისობას; მეორეს მხრით, არა ნაკლების სინათლით გვისურათებს, თუ როგორ უძლურია მარტო პარლამენტი მშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეში.

მართლაც, რა დიდი უწესოება უნდა სუფევდეს ამ ეკონომიურ წესწყობილებაში, რომელშიაც შესაძლებელია დღევანდელი კრიზისი სამხრეთ საფრანგეთის მეურნეთა! ეს კუთხე განთქმულია თავის მშვენიერის ბუნებითა და სიმდიდრით არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ დედა-მიწის ზურგზე. თვით მცხოვრებნი ცნობილნი არიან შრომის მოყვარეობითა და იშვიათის ენერგიით. უკანასკნელ ათ წლამდე სამხრეთი საფრანგეთი ჰყვაოდა, როგორც „ამა ქვეყნის სამოთხე“; მთელი მხარე მოფენილი იყო მშვენიერის ვენახებითა და აუარებელი ღვინო, რომელიც აქ მოსდიოდა მცხოვრებთ, შედარებით თვალსაჩინო კეთილდღეობაში ამყოფებდა ხალხს. და აი, ასეთი ქვეყანა, ასეთი ხალხი დღეს საშინელს კრიზისს განიცდის; ქვეყანა ლამის უდაბნოდ გადაიქცეს, ხალხი-კი შიმშილისაგან დაიხოცოს. აუტანელი გაჭირვება ეწვია სწორედ იმ მეურნეთ, რომელნიც სახელგანთქმული იყვნენ შრომის მოყვარეობით, ენერგიითა და კეთილდღეობით. ამის მთავარი მიზეზი რაიმე სტიქიური უბედურება-კი არ იყო, არამედ ის უწესოება, რომელიც თანა სდევს თანამედროვე ეკონომიურ წესწყობილებას, რომლის დროს მწარმოებელთა ერთის ჯგუფის ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფის ინტერესებს, რომლის დროს სწარმოებს დამღუპველი კონკურენცია მეურნეობათა შორის... უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ საფრანგეთში აყვავდა შაქრის მრეწველობა; იქაური მინდვრები მოიფინა ჭარხლის პლანტაციებითა და გაჩნდა შაქრის ქარხნები; შაქარი, რომელსაც ბაჟიც თითქმის სულ არ აწუხებდა, გაიაფდა. ამ გარემოებით ისარგებლეს პარიზისა და სხვა დიდ ქალაქების კაპიტალისტებმა და იწყეს ღვინის ხელოვნურად მზადება და შეზავება. იმ დროს, როცა სამხრეთ საფრანგეთის მეურნე დიდის შრომითა და ვაებით უვლიდა თავის ვენახს, დიდის ენერგიით ებრძოდა ფილოქსერასა და სხვა სენს, აუმჯობესებდა თავის ღვინოს, ერთი სიტყვით, ეწეოდა მეურნის ჩვეულებრივ მძიმე შრომას, პარიზის კაპიტალისტები შაქრითა, წყლითა და სხვა და სხვა მასალით თავის ქარხნებში ამზადებდნენ აუარებელ ღვინოს, რომელიც გაჰქონდათ ბაზარში გაცილებით უფრო იაფ ფასებში. მეურნის ღვინო აღარავინ იყიდა; სამხრეთ საფრანგეთის მარან-საწყობი სავსეა ნამდვილის ღვინით, ხოლო ქარხნებში მომზადებულის „ყალბი“ ღვინოთი აივსო ბაზარი; მეურნე დიდ გასაჭირში ჩავარდა, სამაგიეროდ მექარხნეები და ჩრდილოეთ საფრანგეთის პლანტატორები გაკეთდნენ...

ამ ათის წლის განმავლობაში ეს კრიზისი თან და თან იზდებოდა თურმე, რაც არავისთვის საიდუმლოება არ იყო. თვით მთავრობის ყურადღებაც მიუქცევიათ და გაუფრთხილებიათ, მაგრამ ამაოდ: მექარხნეები, კაპიტალისტები და პლანტატორები დიდ ძალას შეადგენენ კაპიტალისტურს საზოგადოებაში და თვით დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტიც მათ ხელშია! მთავრობის უყურადღებობამ და მშრომელთა ინტერესების აბუჩად აგდებამ იქამდისაც კი მიაღწია, რომ შემდეგი ფაქტიც შესაძლებელი გახდა: რამდენისამე წლის წინად საფრანგეთის საინტენდანტო უწყებას 100 ათასი მანეთის ღვინო დასჭირებია კოლონიალურ ჯარებში გასაგზავნად; სამხრეთ საფრანგეთის გაჭირვებულ მეურნეთ იაფად შეუძლევიათ თავისი ღვინო, მაგრამ მთავრობას პარიზელ მექარხნეების ყალბი ღვინო შეუძენია!..

ბოლოს ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და მთელი სამხრეთი საფრანგეთი ფეხზე წამოდგა. იგრიალა ამბოხებამ, რომლის საოცარი ამბები მკითხველმა დეპეშებიდანაც იცის. ხალხის გრგვინვამ იმ წამსვე დააფრთხო მთავრობაცა და პარლამენტიც. კლემანსო ჯერ მორიგებითა და დაპირებით ლამობდა „მშვიდობიანობის“ ჩამოგდებას, მაგრამ ბოლოს იმანაც მიჰმართა რეპრესიებს: დაატუსაღა მეღვინე-მევენახეთა მოძრაობის ხელმძღვანელნი და ხალხს ჯარები მიუსია. სისხლიც დაიღვარა... პარლამენტში სოციალისტების მეთაურმა ჟორესმა განაცხადა, რომ ამ კრიზისის მოსასპობად რადიკალური ღონისძიებაა საჭირო და წარადგინა ვენახების სოციალიზაციის პროექტი. პალატამ უარ-ჰყო წინადადება და თავის მხრით გამოსცა პოლიატიური კანონი: შაქარს ზომიერი ბაჟი დაადო და დაარსა ადმინისტრატიული კანტორა ღვინის ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად. მოძრაობის მეთაურნი არ დაკმაყოფილდნენ ამ კანონით და გასცეს ბრძანება, რომ არავინ სამხრეთ საფრანგეთში ერთი კაპეიკიც არ მისცეს სახელმწიფოს არავითარ გადასახადისა. მთავრო-

ზამაც რეპრესიებს მიმართა, რამაც გამოიწვია 15 ივნისის შეკითხვა პარლამენტში. სოციალისტებმა მოითხოვეს პოლიტიკის შეცვლა, მაგრამ, როგორც დეპეშა გვატყობინებს, კლემანსოს გაუმარჯვნია. ვისი იქნება საბოლოო გამარჯვება, ამას მალე დავინახავთ; დარწმუნებული ვართ, რომ აღელვებული ხალხი ბოლოს და ბოლოს აიძულებს პარლამენტს ნამდვილ ღონისძიებათა მიღებას დღევანდელ შეუწყნარებელ კრიზისის წინააღმდეგ.

## სოფლის მასწავლებელთა ბანაკიდან.

პირველ დაწყებით სწავლის საუკეთესოდ დაყენებისთვის საკმაო არ არის გარეშე პირობების გაუმჯობესება, სწავლების თავისუფლება, სკოლის თავისუფლება ყოველ-გვარ პოლიტიკურ ბოროტ სულისაგან და სხვა. საჭიროა აგრეთვე სკოლის სულის—მასწავლებლის გარდაქმნა ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად. რაც უნდა დემოკრატიული იყოს სკოლა და მასწავლებელს ეხსნებოდეს საუკუნოებით შებორკილი ხელ-ფეხი, მას არ ეცოდინება, რა ჰქნას თავისუფალ სკოლაში, თუ არ მიეცა ფართო განათლება. სკოლის საქმის საუკეთესოდ წაყვანისთვის საჭიროა ნიჭი, მაგრამ ნიჭი ორიოდე ბედნიერის ხვედრს შეადგენს. ამიტომ იბადება კითხვა: რით და როგორ შეივსოს დანაკლისი მასწავლებელმა? რაც უნდა გამოცდილი იყოს მასწავლებელი და გაჟღენთილი თავისუფალის სულით, მას მაინც არ შეეძლება რიგიანად სწავლება, თუ არ აინტერესებს სკოლის საქმე და თუ მასწავლებლად გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა პროფესიაში გზა ჰქონდა შეკრული.

ვთქვათ, მოისპო დირექტორ-ინსპექტორების პოლიციური ცირკულიარები და მასწავლებელს სრული თავისუფლება მიეცა—„ასწავლე რაცა გსურს, მხოლოდ ნაყოფი კარგი გამოიღეო". ამ თავისუფლებით, ჩემის აზრით, მოხდება ის, რომ შემხუთველი სული, რომელიც არსებობს თანამედროვე სკოლაში, იარსებებს ახალშიაც, თუ მასწავლებელს არ მიეცა **ფართო განათლება**; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დარჩება ახალ სკოლაშიაც სხვის გამოზომილ-გამოჭრილ გეგმების „კეთილსინდისიერ აღმასრულებლად."

ხშირად მსმენია, რომ სწავლა-აღზრდა საინტერესო და ცოცხალი საქმეაო. დიახ, საინტერესოა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლა-აღზრდის საქმე სავსებით გესმის და ეჭვი არაფერში გეპარება, თუ მორალურად დამშვიდებული ხარ და ჰგრძნობ, რომ ბავშვებს არ ასახიჩრებ. ამისათვის კი საჭიროა ბავშვების სულის და საქმის ცოდნა და ამ ცოდნის სწავლაში გამოყენების მოხერხება. თუ ახალ სკოლას სურს, რომ აღზარდოს ნამდვილი ადამიანები, აუცილებლად საჭიროა მასწავლებლის შეიარაღება ფართო მეცნიერულის ცოდნით. სწავლების საუკეთესო გადაცემის და შეძენის საშუალებად ჩაითვლება მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნერვების ენერგიის მცირეოდენის დახარჯვით მიზნის მიხწევა. ამ რიგად, ახალ სკოლისთვის საჭირონი არიან ცხოვრების ყოველისავე დარგის ზედმიწევნით, თუ უშუალოდ არა, მცოდნე მასწავლებლები.

რა თქმა უნდა, ასეთ მასწავლებლებს ერთბაშად ვერ გავაჩენთ, ამას დრო უნდა. მაგრამ მომავლის მოლოდინში გულხელ დაკრეფილი არ უნდა ვისხდეთ; ნიადაგი, ცოტაც თუ ბევრად, ეხლავე უნდა შემზადდეს. სხვათა შორის საზოგადოება ეხლა უნდა შეეცადოს სავსებით გარდაქმნას არსებული სამასწავლებლო სემინარიები და კურსები უმაღლეს ცოდნის მისაღებ სასწავლებლებად. ცოტა რამ დღბს-დღეობითაც უნდა გაკეთდეს. ვინ არ იცის, რა მდგომარეობაში არიან სოფლის მასწავლებელნი: ცალკე უსახსრობით, ცალკე სიშორისა გამო ახალთაობის ეს აღმზრდელნი მოკლებულნი არიან სულიერ საზრდოს, გონების გამდიდრების შეძლებას. თუ სხვა არაფერში, აი ამ საქმეში მაინც უნდა დახმარება მასწავლებელს, ამასთან ეხლავე საჭიროა მოეწყოს უმაღლესი საზაფხულო კურსები საგუბერნიო ქალაქებში. ამასთან ამ კურსებთან უნდა მოეწყოს უფასო სადგომები და იაფ ფასიანი სასადილოები მსმენელთათვის. ხოლო კურსების მოწყობას ფული უნდა, რაც თვით საზოგადოებამ და საზოგადო დაწესებულებებმა უნდა გაიღონ, რწმენის განურჩევლად, რადგან მთავრობის იმედი არა გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის სიბნელეში მიტოვება, ისიც ეხლა, როცა ხალხის გამოღვიძებასთან ერთად ნამდვილი მასწავლებელია საჭირო, უდიდესი დანაშაული იქნება ახალთაობის წინაშე.

ა. ხცურუა.

# ახალი ამბავი

**✦ უბნის ზედამხედველის მოკვლა.** პოლიციის მე-7 ნაწილში 19 ივნისს უცნობებმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს და მოჰკლეს უბნის ზედამხედველი (ოკოლოდოჩნი) ალექსანდრე კრივენკო. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

**✦ სიკვდილით დასჯა.** 19 ივნისს, ტფ. სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სოიუნ მამედ ჯაფარ-ოღლისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ერთი სტრაჟნიკის მოკვლა, ხოლო მეორის დაჭრა. ჯაფარ-ოღლის რაღაც დანაშაულობისათვის გადაწყვეტილი ჰქონია 11 თვით დაპატიმრება. განაჩენის თანახმად, დარაჯები წასულან ბრალდებულის დასაპატიმრებლად. როცა სახლში შესულან, სოიუნს დაუხლია რამდენჯერმე თოფი, ერთი მოუკლავს და მეორე დაუჭრია. ოლქის სასამართლოში ბრალდებულს იცავდა სასამართლოს მოწვევით ნაფიცი ვექილი კ. ჯაფარიძე. ბრალდებულმა განუცხადა, არ ვიცოდი, თუ პოლიციელები იყვნენ, ისე სწრაფად დამესხნენ თავს, რომ მეგონა—მტრები იყვნენ, ამიტომ იარაღი ვიხმარეო. ვექილმა ითხოვა სასჯელის შემცირება. სასამართლომ სოიუნს სიკვდილით სასჯელი გადაუწყვიტა.

**✦ სასიკვდილოდ დაჭრა.** პოლიციის მე-7 ნაწილში, დოლიძის ქუჩაზე, 19 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ტფ. მოქალაქე ვასილ აკოფოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ვინაობა მკვლელებისა და მიზეზი მოკვლისა ჯერ არ გამოურკვევიათ.

**✦ დაჭრა.** პოლიციის მე 7 ნაწილში კახეთის მოედანზე შეიარაღებულმა უცნობებმა რევოლვერით დასჭრეს ზალიკო ნავრუზაშვილი და საქულ ბოღღოვი. დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

**✦ სამაგისტრო თხზულება.** ტფილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებლის ინსპექტორმა დეკ. კ. კეკელიძემ კარგა ხანია, რაც გაუგზავნა კიევის სას. აკადემიის საბჭოს თავისი სამაგისტრო თხზულება განსახილველად. თხზულება შეეხება ღვთის მსახურებათა წეს-რიგის ისტორიას საქართველოს ძველს ეკლესიაში და დამყარებულია ძველ ქართულ ხელთ ნაწერების შესწავლაზე.

**✦ პენსიის პროექტი.** ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭომ შეიმუშავა ამ სასწავლებელში მსახურთათვის საპენსიო თანხის შედგენის პროექტი. სასწავლებელში მსახურნი სახელმწიფო სამსახურის ზოგიერთ უფლებებით სარგებლობენ, ხოლო პენსიას ხაზინიდან კი ვერ მიიღებენ, უკეთუ ამ სასწავლებელში დაამთავრებენ სამსახურს.

**✦ მონასტერზე თავ-დასხმა.** 19 ივნისს, ნაშუადღევს ესე 4 საათზე, მცხეთის მახლობლად, ვიღაც კაცები შევარდნილან კარსანის დედათა მონასტერში, გაუპატიურებიათ მონაზვნები და მიმალულან. უკვე მიუღიათ ზომები თავ-დამსხმელთა შესაპყრობად.

**✦ დროებითი პოლიცმეისტერი.** ტფ. პოლიცმეისტერის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა გუბერნიის საერობო დარაჯთა ინსპექტორი დუბანოსი, რომელიც უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

**✦ დაზარალებულთა დახმარება.** უმაღლესს მთავრობას ერევნისა და ტფილისის გუბერნიის დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაუდვია 85 ათასი მანეთი. ადგილობრივი მთავრობა თხოულობდა 112 ათას მანეთს.

**✦ ახალი მზრუნველი.** ტფილისიდან „ბირჟ. ვედ."-ს ატყობინებენ დეპეშით, ვითომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ინიშნება სატეხნიკო დაწესებულებათა ინსპექტორად ნამყოფი რუდოლფი.

**✦ მოხელის მოკვლა.** იგდირში (ერევნის გ.) 15 ივნისს საღამოთი რევოლვერით მოუკლავთ მომრიგებელ მოსამართლის მდივანი არუთინოვი. მკვლელი შეუპყრიათ.

**✦ სალიტერატურო დილა.** კვირას, 24 ივნისს, ტფ. საკრებულოს დარბაზში (მუხრანისეულ სახლში), დილის 11 საათზე, გაიმართება სალიტერატურო დილა სპარსეთის ქართველების შესახებ. ბ-ნი დავ. კარიჭაშვილი წაიკითხავს რეფერატს ქართველების გადასახლების შესახებ შ ჰ აბასის დროს. იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე)—ვლ. ალნიაშვილის მოგზაურობის შესახებ სპარსეთსა და იქაურ ქართულ სოფლებში, ყულამ ჰუსეინ ონიკაშვილი (სპარსელი ქართველი) წაიკითხავს სპარსელ ქართველების ეხლანდელ ყოფა-ცხოვრების შესახებ.

**✦ ოფიციალური განცხადებანი.** გუშინწინ და გუშინ გაზეთ „კავკაზ"-ში დაიბეჭდა შემდეგი განკარგულებანი ტფ. გენერალ-გუბერნატორისა:

I. კიდევ ერთხელ მოვაგონებ ტფილისის მცხოვრებთ, რომ რამდენჯერმე აკრძალული მაქვს ქუჩებში ხალხის შეგროვება: 3-4 კაცისაგან შემდგარ ჯგუფსაც არ აქვს ნება ქუჩებში შეკრებისა; თან ვაფრთხილებ ყველას, რომ ტფილისის გარნიზონის ჯარებსა და პოლიციას განკარგულება მივეცი, დაუყონებლივ დაშალონ ხოლმე ასეთი კრებები და დაატუსაღონ დამნაშავენი ადმინისტრატიულის წესით დასასჯელად.

II. შენიშნულია, რომ ზოგი სახლის პატრონი ან მათი მოადგილე, როცა ჰსურს რაიმე მიზეზით დამალონ მათ სახლში რომლისამე პირის ბინადრობა და თან დაჯარიმებასაც ერიდებიან, ამ შემთხვევაში პოლიციას უმალავენ სახლის წიგნებს და აცხადებენ—დაგვეკარგაო. წინადადებას ვაძლევ ტფ. პოლიცმეისტერს, გამოუცხადოს ტფილისის მცხოვრებთ, რომ ის სახლის პატრონნი ან მათი მოადგილენი, რომელნიც გადამალავენ წიგნებს და ამით ხელს შეუწყობენ მათ სახლებში საეჭვო პირების ბინადრობას ისე, რომ ეს პოლიციას არ ეცოდინება, ტფილისის საგენერალ-გუბერნატოროდან გა[illegible] [illegible] მავნე პირები.

III. [illegible] რამდენჯერმე მიბრძანებია ერთი ალაყაფის კარები უთუოდ დაკეტილი იყოს, თუ ეზოს მეორე კარებიც აქვს, სანდო პირთა ცნობებიდან სჩანს, რომ ზოგიერთა სახლის პატრონი ამ განკარგულებას არ ასრულებს. უკანასკნელად გავახსენებ პოლიციის ყველა მოსამსახურე მსახურთ, თუ კიდევ აღმოჩნდა, რომ სახლის პატრონნი არ ასრულებენ ამ ჩემ ბრძანებას, გარდა იმისა, რომ სახლის პატრონთ დავაჯარიმებ, დამნაშავე პოლიციის მოხელეთაც სამართალში მივცემ."

**✦ სასულიერო სემინარიის მეორე და მესამე კლასის მოწაფეთა სვე ბედი.** როგორც ვიცით, სემინარიის მეორე და მესამე კლასის მოწაფენი ამა წლის მარტის გასულს გაიფიცნენ ეგზამენების წინააღმდეგ. ამის გამო ისინი მთავრობამ სემინარიიდან დაითხოვა, ხოლო უკანვე დაბრუნების შესახებ თხოვნის მიცემის უფლება დაუტოვა; ამის ძალით მათ 15 აგვისტომდის უნდა მიმართონ თხოვნებით სემინარიის გამგეობას. მაისში გამგეობამ იქონია მსჯელობა გამორიცხულ მოწაფეთა მოწმობებში ყოფაქცევის ნიშნების დასმის შესახებ. ამ გარემოებას შემდეგი საბედისწერო მნიშვნელობა აქვს: უკანვე მიღების შესახებ მსჯელობის დროს მოწაფეს, რომელსაც ყოფაქცევაში „სამი" უზის, არას გზით აღარ დააბრუნებენ. გამგეობის ამ სხდომას ყველა წევრი დაესწრო, დეკ. თალაკვაძის და მღვდ. გამრეკელის გარდა, უმრავლესობის გადაწყვეტილების თანახმად 20-ს მოწაფესთვის ყოფაქცევაში „სამი" უნდა დაეწერათ და 50-სთვის კი—„4". ამ აზრს არ დაეთანხმნენ მასწავლებელნი: ი. ფერაძე და მახათაძე და მღ. ჯიჯავაძე, რომელთა აზრითაც მოწაფეებს ყოფაქცევაში „ხ" უნდა დაესვათ. ექსარხოსმა გამგეობის ჟურნალი შემდეგის ცვლილებით დაამტკიცა: ვისაც გამგეობამ მისცა „ოთხი", იმას მიეცეს „ხუთი", ხოლო „სამიანებს"—„ოთხიო"...

**✦ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სამი თვით დაპატიმრება და მერე სამის წლით ვიატკის გუბერნიაში გაგზავნა მიესაჯა მაშადი ჯაფარ-ოღლის და სულეიმან ნასიბ-ოღლის, რომელთაც ძარცვა-გლეჯა ჰბრალდებათ; აეკრძალათ ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება: გრიგოლ კანკლაძეს, იოსებ მაღლაშვილს, სოლომონ მახარაშვილს და იმის ცოლს დარიას, რომელთაც აბრალებენ ძარცვა-გლეჯას და ქურდების დაფარვას, დ. სურკოვს, ი. მიხ-

# ფელეტონი

## თანამედროვე საკითხები

(შემდეგი *)

მიუხედავად იმისა, რომ მარქსისტული შეხედულება წარმოების ყველა დარგში არა მართლდება და სადაც მართლდება, იქაც არა იმ სახით, რა სახითაც მარქსი ირწმუნებოდა,—სოციალ დემოკრატები მაინც თავისას იმეორებენ დაბეჯითებით და ცხოვრების გაკვეთილებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. უკვე გამორკვეულია, რომ სოფელში არა ხდება ის, რაც ქალაქში. მაშინ, როდესაც ქალაქში მსხვილი წარმოება წვრილის ადგილს იჭერს, სოფელში წვრილი მეურნეობა გასაოცარ კონკურენციას უწევს მსხვილ წარმოებას. თუ რათა ხდება ეს,—ამის დაწვრილებით ახსნას აქ არ შევუდგები, რადგან ამ წერილის დედა-აზრს ძალიან დამაშორებს. ვისაც ამის გაგება სურს, გადაიკითხოს თხზულებები ამ საგნის შესახებ. ასეთი თხზულება აუარებელია, მაგრამ მე განსაკუთრებით ედვარდ დავიდს დავასახელებ.

დავიდმა საკვირველის ღრმა ანალიზით აუარებელი ისეთი თვისება აღმოაჩინა სასოფლო მეურნეობაში, რომ ამ მეურნეობის ინდუსტრიალურ მეურნეობასთან ერთს ხაზზე დაყენება ყოვლად შეუძლებელი-და ხდება. დავიდის აზრით, ყოვლად შეუძლებელია სოფლისა და ქალაქის წარმოებათა შორის ანალოგიის გაყვანა მაგალითად, იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობაში ცოცხალ არსებათა განვითარება ხდება, ინდუსტრიაში კი—მხოლოდ მკვდარ საგანთა შემუშავება. უკანასკნელ შემთხვევაში პროდუქტის შესაქმნელად საჭირო განცალკევება და შეერთება სუბსტანციისა ხდება ადამიანის ნებით, მის პირდაპირის ზედ-გავლენით, ე. ი. განსაკუთრებით ყოველგვარ ნებას მოკლებულ ინსტანციათა უტილიზაციით. სოფლის მეურნემ კი ასეთი შესაერთებელი და გამოსაცალკევებელი აქტები ცოცხალ, მუდამ მოძრავ ბუნების ზედგავლენას უნდა დაუქვემდებაროს. სოფელში მწარმოებელი ადამიანი კი არ არის, არამედ ბუნება. ადამიანის შრომას აქ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ინდუსტრიალურ პროდუქტების დამზადება მექანიკური პროცესია, ის წარმოება კი, რომელსაც გლეხი—კაცი სოფელში ეწევა, ორგანიულია[1]).

მარქსი ამბობს: „ხელოსანი, რომელიც ერთი მეორის შემდეგ აკეთებს სხვა და სხვა კერძო პროცესს, რომლისაგანაც მთელი წარმოება შესდგება, იძულებული ხდება ხან ადგილი შეიცვალოს, ხან კიდევ სამუშაო იარაღი. ერთის ოპერაციიდან მეორეზე გადასვლა იმის მუშაობის მიმდინარეობასა სწყვეტავს და ბევრს დროს მუქთად აკარგვინებს. რა წამს ხელოსანი ერთ რომელსამე ოპერაციას შეუდგება, დროც აღარ ეკარგება ხოლმე" სხვანაირად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტი ერთგვარობაა საწარმოო ოპერაციებში, მით უფრო ნაკლები დრო იკარგება მუქთად". [2])

ამას ამბობს მარქსი ქალაქის ხელოსანის შესახებ. შესაძლებელია თუ არა ამნაირი პროცესსი სოფლის მეურნეობაში? ჰკითხულობს დავიდი და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამნაირი პროცესსი სოფელში ყოვლად შეუძლებელია. სოფლის მეურნეობაში მუშა იძულებული ხდება თავის სამუშაო იარაღით თითონ იმოგზაუროს ერთის ადგილიდან მეორეში. მსხვილ წარმოებაში ხომ ეს მეტის-მეტად ძნელ საქმეთა ხდება, რადგან მემამულე იძულებული ხდება თავისი, ხშირად ძალიან ძვირფას და მოუხეშავი იარაღი სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილზე ათრიოს. რაც უფრო დიდია მამული, ასეთი გადაზიდ-გადმოზიდვა მით უფრო ძნელია, მემამულეს უფრო მეტი დრო ეხარჯება და მუშაობაც ნაკლებად ნაყოფიერი ხდება. კიდევ ბევრი მაგალითი შეგვეძლო მოგვეყვანა იმის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი განსხვავებაა სოფლის მეურნეობასა და ქალაქის ინდუსტრიის შორის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.

ეს ძირითადი სხვა და სხვაობაა მიზეზი იმისი, რომ ტეხნიკურად გაუმჯობესებულ მაშინებს სოფელში სრულიად სხვანაირი ნაყოფი გამოაქვს, ვიდრე ქალაქში. უმთავრესი განსხვავება იმაშია, რომ ქალაქში მაშინა მთელი წელიწადი მუშაობს, სოფელში კი—დრო გამოშვებით. ქალაქის კაპიტალისტს შეუძლიან მთელი წელიწადი ამუშაოს მაშინა, აინაზღაუროს დანახარჯი და კიდევ ახალი მაშინა შეიძინოს. სოფელში კი ასე ვერ მოხერხდება: აქ თითოეულ მაშინას თავისი საკუთარი დრო აქვს. სახნავი მაშინა მხოლოდ ხვნის დროს არის საჭირო, მკის დროს კი სრულიად გამოუსადეგარად, უსარგებლოდ დევს. მემამულე, რომელიც მაშინებს შეიძენს, იძულებული გახდება ან, დანახარჯ ფულის ასანაზღაურებლად, სამეურნეო პროდუქტს ფასი არ მოუმატოს და ახალი მაშინების შეძენა შეაჩეროს, ან კიდევ, თუ უნდა წარმოება გააფართოვოს, უნდა დანახარჯი ფული დაიბრუნოს. ამისათვის კი იგი იძულებული გახდება საქონელს ფასი მოუმატოს. მაგრამ, თუ მსხვილმა მემამულემ საქონელს ფასი მოუმატა, მაშინ წვრილი მწარმოებელი ყოველთვის გაუწევს კონკურენციას, რადგან ამ უკანასკნელს თამამად შეუძლიან თავისი საქონელი მსხვილ მემამულეზე გაცილებით იაფად გაჰყიდოს. ქალაქის კაპიტალისტს შეუძლიან ყოველ დღე უმატოს მაშინებს და თავისი შემოსავალიც პროპორციონალურად ზარდოს, რადგან რამდენსაც მეტს მაშინას დასდგამს კაპიტალისტი, იმდენად მეტს შემოსავალსაც მიიღებს. სოფლის მემამულეს კი ეს არ შეუძლიან. მამულის ინტენსიურად დასამუშავებლად მიწის განსაზღვრული რაოდენობაა საჭირო. რამდენადაც დიდია მამული, იმდენად ძნელი ხდება ინტენსიური დამუშავება. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველგან, სადაც კი ინტენსიური დამუშავებაა შემოღებული, მამულს დაპატარავების ტენდენცია ემჩნევა. სოფლის მუშაობას განსაკუთრებით ლოკომოტიური ხასიათი აქვს მაშინ, როდესაც სამრეწველო წარმოებისათვის ისეთი მატორია საჭირო, რომელიც ადგილიდან არ დაიძვრება, ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში, რა კი ერთხელ მოიყვანენ მაშინას მოძრაობაში, მუშა მერე იძულებული ხდება უკან სდიოდეს მაშინას, ამრიგად, მაშინა თითქოს თვითონ ადგენს თვალ-ყურს მომუშავეს. ტყუილუბრალოდ დრის დაკარგვა ამ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია. სოფელში კი წინააღმდეგი მოვლენაა. იქ ადვილად შესაძლებელია, რომ მუშამ სრულიად უნაყოფოდ გაატაროს მთელი დღე. თვალ-ყურის დევნა ამ შემთხვევაში საშინლად ძნელია, რადგან მემამულეს ყურისმგდებლების მთელი ლეგიონი დასჭირდებოდა.

ასეთია ის განსხვავება, რომელიც სოფლის მეურნეობასა და ინდუსტრიის შორის არსებობს. ეს განსხვავება შეუძლებლადა ხდის მარქსისტულ მსოფლმხედველობის გავრცელებას სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობის არსება იმნაირია, რომ მსხვილი წარმოება იქ ისე ვერა სჩაგრავს წვრილ წარმოებას, როგორც ქალაქში. და რომ ეს მართლა ასეა, ამას ნათლად ამტკიცებს ჰერცი, რომელსაც კაუცკის საწინააღმდეგოდ, სხვა და სხვა ქვეყნის ცხოვრებიდან მოჰყავს აუარებელი მაგალითი და სტატისტიკური ცნობა, რის წინააღმდეგაც ვერაფერს გახდება ვერც კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის მოძღვრება, ვერც შაბლონიურ ანალოგიის გაყვანა სოფლისა და ქალაქის მეურნეობის შორის და ვერც ზღაპრები იმის შესახებ, რომ სოფელში

*) იხ. „ისარი" № 131

[1]) იხ. Э. Давидъ: „Соціализмъ и сельское хозяйство", გვ. 44—45.

[2]) იხ. „Капиталъ", I, 305.

ნოს, ე. კევორკიანს, ფ. კორენს, სამსონ ჩიჩინაშვილს, არსენ ღულაძეს და მოვშე გაბრილაშვილს. მაგარ სასმელების გაყიდვისთვის დაკეტა მოვშევიჩის საროსკიპო სახლი.

✦ **ნავთის მწარმოებელთა კრების გადადება**. ნამესტნიკის შუამდგომლობით ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრება გადადებულ იქმნა.

✦ **სამადნო ადგილები**. ართვინისა და ბათუმის ოლქებში გაემგზავრა კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამ ოლქებში სამადნო ადგილების დათვალიერება.

✦ **სახელმძღვანელო**. ტფ. სასულიერო სემინარიის და ვაჟთა მეორე გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი ილ. ფერაძე მალე დაამთავრებს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის ისტორიის შესასწავლ სახელმძღვანელოს ქართულს ენაზედ ამ სახელმძღვანელოს ჯერ ქართულ ენაზე მასწავლებელთა კრებას წარუდგენს და მერე დასტამბავს.

✦ **პატიმარის გაქცევა**. 18 ივნისს საგუბერნიო საპატიმროდან გაიქცა პატიმარი ალექსანდრე ახობაძე, რომელიც სულით ავადმყოფი ყოფილა.

✦ **პატრულები**. 20 ივნისს ქალაქის ყველა უბანში გაძლიერებული პატრულები დადიოდნენ.

✦ **დამშეულთა დახმარება**. ტფ. საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ აცნობა ტფ. მაზრ-ს უფროსს, რომ სართიჭალის საზოგადოების სოფლებში მარტყოფსა და საგარეჯოში საჭიროა დაარსდეს სამკურნალო და საკვები პუნქტები ამიტომ მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით და მომრიგებელ მოსამართლისა, სოფლის ექიმისა და სხვათა მონაწილეობით უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს აღნიშნულ საქმის მოწყობისათვის. მაზრის უფროსს ჯერ-ჯერობით გადაეცა 300 მან.

✦ **უარი**. ტფილისში უადგილოდ დარჩენილ 1813 ინტელიგენტის კავშირის ბიურომ აირჩია 28 ინტელიგენტი და სთხოვა ქალაქის გამგეობას, მიეცათ მათთვის სიების შედგენის დროს სამუშაო, ქალაქის გამგეობამ უარი შეუთვალა, ხოლო აღნიშნულ საქმისთვის მოიწვია 12 გარეშე კაცი.

✦ **რუსი ამომრჩეველნი**. კავკასიის გუბერნატორები განმარტებას სთხოვენ ნამესტნიკს, ვინ უნდა იგულისხმონ რუსებად და რა ნაირად უნდა შეადგინონ სიები კავკასიაში დასახლებულ რუსებისა სახელმწიფო სათათბირო არჩევნებისთვის.

✦ **ახალი წიგნები**. რედაქციამ მიიღო დიმიტრი არაყიშვილის შემდეგი წიგნები: 1. „Музыкально-этнографическіе очерки о Грузинской народной музыкѣ", შედგენილი დიმიტრი არაყიშვილის მიერ. ამ საინტერესო წიგნში მოთავსებულია ნოტებზე გადაღებული ქართული სახალხო სიმღერები და საეკკლესიო საგალობლები და ამასთან ვრცელი მიმოხილვა სახალხო სიმღერის და საეკკლესიო გალობის განვითარებისა. წიგნი დიდია და ღირს ორ მანეთად 2. „ქართული (კახური და ქართლური) ეროვნული სიმღერები". ეს სიმღერები ფონოგრაფის შემწეობით არის ჩაწერილი. ფასი 65 კ. 3. „ქართული ეროვნული ერთხმოვანი სიმღერები", ტფ. და ქუთ. გუბერნიების სახალხო სკოლებისთვის შედგენილი. ფასი 20 კ. სამივე წიგნი სუფთად და მშვენივრად არის დაბეჭდილი, პირველი ორი წიგნი მოსკოვში, ხოლო მესამე ტფილისში.

✦ ს. მდივანი გვთხოვს დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი: რამოდენიმე თვეა მას აქეთ, რაც გ. ხუნდაძემ მედიატორეთ დამასახელა ჭოლა ლომთათიძესთან დავის გასარჩევად. დღემდის ვერ მოვახერხეთ მედიატორეებმა საქმის გარჩევა, დღეს კი ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო მე იძულებული ვარ უარი განვაცხადო მედიატორობაზე. ს. მდივანი".

✦ 18 ივნისს მეტეხის ციხიდან ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლეს ანასტასია გიგიბერია, რომელიც შეიპყრეს 23 მაისს მადაკანის ქუჩაზე.

✦ პოლიციას შეუპყრია იორდანაშვილი და ეპიტაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ მარტყოფის მამასახლისის ბერიშვილის მოკვლა.

✦ საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტმა მოსთხოვა ტფ. გუბერნიის მაზრის უფროსებს, გაუგზავნონ დაწვრილებითი ცნობები წლევანდელ მოსავლების შესახებ.

✦ 19 ივნისს მტკვარზე ჩასულა ქართლელი ილია კუდელაშვილი, მაგრამ წყალს ჩაუთრევია და დაუხრჩვია.

✦ 18 ივნისს ელისაბედის ქუჩაზე დიდუბისაკენ მიმავალ ელექტრონის ვაგონიდან ჩამოხტარა ქუთაისის მცხოვრები ანნა ჯინაძისა; ამ დროს მეორე ლიანდაგზე მიმავალი ვაგონი წამოსწევია და ძალიან დაუშავებია. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 19 ივნისს ანჩისხატის ქუჩაზე მცხოვრებ ფირუმოვის სახლში შევარდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და გაიტაცა 120 მან., ორი ვერცხლის ქამარი, დასჭრეს ერთი მდგმური.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ აგერ ერთი კვირაა, გაზეთების გამყიდველების და დამტარებლების გაფიცვაა. გაზეთები არც ხელის მომწერლებს ურიგდებათ და არც ქუჩებში იყიდება. მეგაზეთეები დადიან ქუჩებში და გაზეთები აღარ მოდისო, ეუბნებიან მსურველებს. ამასაც აღარ სჯერდებიან და აგენტს ბულვარის გვერდზედაც აღარ აყიდვინებენ გაზეთებს. როცა მან პარასკევს ბულვართან საბაევის და ფილიპოვის მაღაზიის წინ მაგიდა გამოიტანა და გაზეთების ყიდვა დააპირა, მიუვარდნენ სიმართლის ხელ-კეტებით მაძიებელნი მაღაზიის პატრონს და დაემუქრნენ, რომ მაღაზიის ფანჯრებს სულ ერთიანად ჩაგილეწავთ, თუ აქედან გაზეთების მაგიდა არ ააღებინე პატრონსაო. აგენტიც თავის მეკანტორით იძულებული გახდა გაზეთები კანტორაში ეყიდა. როგორც კონდუქტორმა გადმოგვცა, მებუფეტისათვის სადგურზე უთქვამთ მეგაზეთეებს, რომ აგენტის გაზეთები არ დაიტოვო, თორემ დაგილეწთ ბუფეტსაო.

მეგაზეთეები ითხოვენ $1^1/_2$ კაპ. ცალ გაზეთზე, ე. ი. მთელად იმ გასამრჯელოს, რასაც აგენტი რედაქციებისაგან იღებს. ასეთი გასამრჯელო კი არც ერთ ქალაქში არ არის, სადაც დღევანდელ პირობებში ნორმალურად წარმოებს გაზეთების საქმე. დამტარებელნი კი ითხოვენ არსებულ ჯამაგირზედ (15 მან. აქვთ და არიგებენ 60—80 ცალ გაზეთს, ხან ნაკლებს, ხან მეტს) 20% მიმატებას: სხვა წვრილმანი მოთხოვნილებებიც წამოუყენებიათ გაფიცულთ, რომელთაგან ზოგიერთების დაკმაყოფილება შესაძლოდ უცვნია აგენტებს, მაგრამ გაფიცულნი მაინც თავისას გაიძახიან. დღესდღეობით გაზეთები იყიდება ახლად-გახსნილ წიგნის მაღაზიას და, გაზეთების „იმერეთი"-ს კანტორაში იქ, სადაც „კოლხიდა" იყო.

✦ დღეს, 18 ივნისს, წიგნის მაღაზია „კოლხიდას"-ს პატრონი ის. კვიცარიძე დაიბარა საგუბერნიო ჟანდარმის პოლკოვნიკმა და გამოუცხადა, რომ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით უნდა დაგიჭიროთო თქვენი წიგნის მაღაზიის საქმის სასამართლოში გარჩევამდინ. მხოლოდ ჩვენი და პროკურორის შუამდგომლობით თავდებ ქვეშ გაგანთავისუფლებთო და მოსთხოვეს 1000 მან. „კოლხიდის" პატრონსაც ასეთი თავდებობა ნაგულები ჰქონდა და, ჟანდარმებმაც, შეასრულეს რა ამ შემთხვევაში დადგენილი ფორმალური მხარეები, ის. კვიცარიძე გაანთავისუფლეს. ის. კვიცარიძეს წარუდგინეს ბრალდება მე-128 და 129 მუხ. ძალით, ე. ი. უცენზურო, მათის აზრით, არა ლეგალურ გამოცემების გავრცელების ბრალსა სდებენ. „კოლხიდის" პატრონმა დამნაშავედ არ იცნო თავი და განაცხადა, რომ ამათი არალეგალურობა იმისათვის არავის უცნობებია და რაკი შარშან 17 ოქტ. აქეთ ცენზურა არ არსებობდა და წიგნები ყველა ლეგალურ ფირმების სახელით გამოდიოდა და ისიც ამ ლეგალურ ფირმებიდან იღებდა ამ გამოცემებს,—იგი მათ არალეგარულად არ სთვლიდა და თამამად ჰყიდდა. ამასთან კვიცარიძემ ჟანდარმებს თავის ჩვენებაში ისიც აუხსნა, რომ იმის ფირმას გაზეთების საშუალებით მთელ რუსეთში იცნობდნენ და რაკი ანგარიშებს ყველას თავ თავის დროზე უსწორებდა, გამომცემლებიც შეუჩერებლად უგზავნიდნენ მას თავიანთ ახალ-ახალ გამოცემებს.

## პროვინციის ცხოვრება

**თელავი** (სამარხი კასსები). ამ ბოლო დროს ჩვენ კუთხეულ ქალაქში ძალზე გამრავლდა სამარხი კასსები. პირველად სამარხი კასსა დაარსდა 1905 წელს. მიზანი სიმპატიური ჰქონდა. მიცვალებულის პატრონები 500 მანეთს იღებდნენ, წევრთაგან კი იკრიფებოდა 625 მან. ესე იგი 125 მან. ხარჯად. წევრსაც, წესდების ძალით, 55 წლ. მეტს არ იღებდნენ. თუმცა წესდებაში არაფერი იყო ნათქვამი ჯამაგირის შესახებ, მაგრამ გამგეობის წევრთ კრება მთახდინეს და დააწესებინეს გამგეობის წევრ ხაზინადრის გასამრჯელოდ ერველ წევრის სიკვდილზე 50 მანეთი. ამას გარდა სხვა ბუხედიცა რჩება. 50 მან. ყველას მადა გაუღვიძა, მით უმეტეს იმდენი შრომა არაფერი უნდა. დაბეჭდილ კვიტანციებში გვარების ჩაწერა ყველას შეუძლიან და 50 მან. კი კარგი ფულია. ხან და ხან თვეში 2—3 წევრი აკვდება და 10„—150 მან. მიღებას ვინ არ მოინდომებდა?! აქედან დაიწყო კასსების გამრავლება და დღეს მგონი ათამდე კასსა ითვლება: სალავათოვისა პირველი, ზარაფიშვილისა, ხირსელისა, შავლიაშვილისა, ცაბაზოვისა, როსტომაშვილისა, სვიმონოვისა, ეფრემასი, ტერტერასი და სხ. შეიძლება სახელებში ვცდებოდე, მაგრამ ასე უწოდებენ.

პრინციპიალურად თვით კრების დანიშნულების წინააღმდეგ არაფერი ითქმოდა, რომ შეუძლებელ მიცვალებულების პატრონს ის ფული მაინც დარჩეს იმედად, რომელსაც კასსიდან მიიღებდა, მაგრამ ამ ბოლო დროს თავის დანიშნულებას ცოტა სცდება. ჯერ ერთი გამგე-ხაზინადარსაც როგორც ვთქვით, ბლომად რჩება და მეორე 500 მან. კარგა ნაწილი დამარხვაში იხარჯება: წევრი რომ მოკვდება, ყველას ჰგონია 500 მან. ნაცვლად მიღიონი უნდა მიიღოსო. ხაზინადარი ეტლით დაჰქავთ, ნათესავ-ნაცნობები თავით-ფეხამდე თადხებით იმოსებიან, ხან დაპარაკიც მოსდით: ეს დაბალია, ძვირფასი უნდა ავიღოთო. მღვდლებისთვის ხომ ძლიერ ხელსაყრელი შეიქმნა; მაგ ერთგან ტერტერებს ეთქვათ, ამას და ამას ნაკლებ არ გაუძღვებით, ფული ხომ ბევრი გამოიტანეთო. ამავე ფულით აკეთებენ ქელეხებს. ამნაირად 500 მან. მომეტებული ნაწილი იხარჯება და მიცვალებულის პატრონს აღარაფერი რჩება...

წევრთა სიკვდილის შემდეგ იკრიფება მეტი 125 მან. აქედან 50 მან. წევრ-ხაზინადარს მიაქვს. საინტერესოა დანარჩენი 75 მან. რადას ხმარდება და თუ კასის სასარგებლოდ რჩება, მაშინ რადად იკრიფება. კასსებში უმთავრესად დარიბი ხალხია ჩაწერილი, 1 მან. გარ[illegible] ხომ უჭირთ [illegible] 25 კაპ. ზედ[illegible] [illegible] დის ხიდმე ფული [illegible] ან აბაზი მაკლდება და მეჩქარება, უნდა შევიტანო, არ ამომშალონო. კაჟეიკობით შეკრეფილ ფულს-კი წესიერი კონტროლი არა ჰყავს, წევრთ ხმა ვერ ამოუღიათ, ისე უყურებენ ხაზინადარს, როგორც ღმერთს; ჰგონიათ, რომ 508 მან. ის აძლევს წევრებს. მართლა, კასსებს ჰყავთ სარევიზიო კომისიები, ყოველ წლივ კრებებიც იმართება, მაგრამ რა? შეიკრიბება არაფრის მცოდნე ხალხი და რასაც სხვები დაადგენენ, ხელს მოაწერენ,—წინააღმდეგს ვერავინ იტყვის.

პირველ—სალავათოვის კასსა—კიდევ არა უშავს რა. აქ წევრი—ხაზინადარი მხოლოდ 25 მ. იღებს, ყოველთვის აწყობინებენ სიით და ხელს მოაწერით, ხარჯად 25 კ. ნაცვლად 5 კაპ. იკრიფება, რაიც, მაშასადამე, ხარჯისთვის საკმაო ყოფილა და დანარჩენ კასსებშიაც შეუძლიანთ 5 კ. იმყოფინონ. 20 კაპ. თითო წევრზე ყოველთვის 100 მან. შეადგენს, რომელიც მეტად იკრიბება და ხარჯად კი არ უნდება. საჭიროა აუცილებლად სხვებშიაც ისე მოეწყოს საქმე, როგორც პირველ კასსაში. ამას გარდა ანგარიშიც უნდა იბეჭდებოდეს სამ-ოთხ თვეში ერთხელ უეჭველად და წლის ბოლოს კიდევ —წლიური ანგარიში. ეს დიდ ხარჯს არ მოითხოვს და საქმე-კი ყველა წევრს ნათლად ეცოდინება.

ეს მკვდრების კასსაზე. თელავში იშვიათი ოჯახი იქნება კასსაში ჩაწერილი არ იყოს. მაგრამ მაინც თითო კასსაში 500 წევრის შევსება ძნელია. ამისათვის სოფელ-სოფელ დაიწყეს სიარული წევრების მოსაკრებებლად, სოფლებში აგენტების ყოლა და სხვ. იმდენი სხვადასხვა ამბები დაჰყვა კასსებს, რომ ყველას აღნუსხვა შეუძლებელია.

თელავში მკვდრების კასსებით არა კმაყოფილდებიან და ახლა ცოცხლებს მიჰყვეს ხელი, ე. ი. გათხოვებისას და მზითვისას. ჯერ როსტომაშვილმა დააარსა მზითვის კასსა, ახლა ხირსელმა დაიწყო გათხოვების კასსა. ერთი ქალი ფეხმძიმობის კასსას აარსებს; როცა ლოგინზე დაწვება 100 მან. მიიღებს, თუ მუცელი წაუხდა იმის ნახევარსაო. ერთა პირმა წინ და წინვე თითო აბაზი მოჰკრიფა, ქალების გათხ. კასსას ვაარსებ და ეხლავე ჩაეწერეთო. როგორც მღილავი, ისე მიდიოდა ხალხი; ათასი აბაზი ე. ი. 200 მ. მოუკრეფია თურმე და კასსა-კი დღესაც არ დამტკიცებულა. აი, ასე წავიდა კასსების საქმე.

ბ-ნმა ივანე როსტომაშვილმა მოხუცების კასსაც დააარსა, მაგრამ ამ კასსის ისტორიას შემდეგ წერილში გაგაცნობთ.

**კრუ.**

---

წვრილი მწარმოებელი მსხვილ მწარმოებელს კონკურენციას ვერ უწევსო.

ამ რიგად, ყველასთვის, ვინც კი დოგმით არ არის დაბრმავებული, ცხადზე უცხადესი უნდა იყოს, რომ სოფელში რაიმე თვალ-საჩინო პროლეტარიზაციის დაწყება სრულიად მოულოდნელი არ არის. თუ დღეს ასეთი პროლეტარიზაცია, გლეხთა გაბოგანოვება ხდება, ეს უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია ანორმალურ პირობებისაგან, რომლებიც, როგორც ასეთები, უნდა მოისპოს.

მაგრამ კიდევ როგორმე გაუძლებდით ამ „სამწუხარო" მდგომარეობას, ქალაქში მაინც რომ ხდებოდეს კონცენტრაცია იმ სახით, რა სახითაც მარქსა ჰქონდა წარმოდგენილი. მარქსი დარწმუნებული იყო, რომ მსხვილ წარმოების განვითარებასთან ერთად თვით კაპიტალისტთა რიცხვი შემცირდება და პროლეტართა რიცხვი კი გაიზრდებაო, მაგრამ ცხოვრებამ ეს მოსაზრებაც სავსებით არ გაამართლა. მსხვილი წარმოება წვრილ წარმოების ადგილს იჭერს, მაგრამ ამ წარმოების მონაწილე კი ძალიან ბევრი ხდება (მოიგონეთ ტრესტები, სააქციონერო ამხანაგობანი და სხვები, სადაც მსხვილ წარმოების მონაწილედ ძალიან ხშირად მუშა-პროლეტარიც კი არის ხოლმე; საშუალო ქონების პატრონის მონაწილეობა ამგვარ ამხანაგობაში ხომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა). ყველა ამის შემდეგ ცხადზე უცხადესი ხდება, რომ მარქსისტული კონცეპცია ცხოვრებამ არ გაამართლა. მიუხედავად ყველა ამისა, სოციალ-დემოკრატები მაინც ამტკიცებენ, კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის პროცესი იქამდის მიგვიყვანს, რომ ერთის მხრით კაპიტალისტები დაგროვდებიან, მეორის მხრით—პროლეტარები, მოხდება სოციალური რევოლიუცია, პროლეტარიატი დიქტატურას ჩაიგდებს, გამოსცემს დეკრეტს და ამგვარად დღევანდელ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების მაგივრად ძმობა-ერთობის წესწყობილებას დაამყარებსო. იქამდის კი, სანამ ეს „კატასტროფა" მოხდება, არავითარი სოციალისტური მუშაობა არ შეიძლება; თუ გინდათ, რომ უტოპისტებად არ გადაიქცეთ, უცადეთ ამ კატასტროფას, დღეს-დღეობით კი სამუშაო დღის შემცირებასა და ჯამაგირების მომატებაზე, გლეხების გაპროლეტარებაზე იფიქრეთო, გაიძახიან მარჯვნით და მარცხნით „დოგმატიკოსი მეცნიერები." ნუ განიზრახავთ ნურც ერთს ისეთს რეფორმას, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ძირს უთხრის. საძირკველს ნუ შეეხებით, თუ არ გინდათ დაამტკიცოთ, რომ რეაქციონერები ხართ, რომ „ისტორიის ჩარხის წაღმა დატრიალება" გსურთო. ასეთის ლითაიებით ირთობენ თავს სოციალ-დემოკრატები. თავიანთ მეცნიერების ოლიმპიდან მედიდურად გადმოსცქერიან „რეაქციონერთა და უტოპისტთა" ბრბოს, რომელიც ეჭვის თვალით უცქერის მათ მეცნიერებას და, დოგმებისაგან განთავისუფლებული, თავისუფლადა მსჯელობს.

მარქსისტულ მეცნიერებით განსწავლული სოციალ-დემოკრატები „კატასტროფას" უცდიან, მაგრამ ჩვენ კი არა გვწამს რომ ასეთ „კატასტროფა" როდისმე დადგება. ცხოვრება მჭერ-მეტყველებად გვიმტკიცებს, რომ თუ პროლეტარიზაციისა და კონცენტრაციის პროცესზე დავამყარეთ ჩვენი იმედები, სოციალიზმი არასოდეს არ განხორციელდება, მაგრამ წარმოვიდგინოთ ცოტა-ხანს, რომ ეს პროცესი მართლაცა ხდება და ზემოდ-ხსენებულ „კატასტროფის" დადგომა მართლაც უზრუნველყოფილია. როგორ სურთ სოციალ-დემოკრატებს სოციალისტურ წეს-წყობილების განხორციელება? თუ საზოგადოება თავის ანაბარად დარჩა, შესაძლებელია არავითარი სოციალისტური წეს-წყობილება არ განახორციელოს. სოციალურ ტრანსფორმაციის დროს მარტო ბურჟუები და პროლეტარები არ იქნებიან ქვეყანაზე. მართალია სოციალ-დემოკრატები ამბობენ, რომ სოციალური რევოლიუცია პროლეტარიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის შედეგი იქნებაო, მაგრამ ისინიც კი აღიარებენ, რომ სოციალურ ტრანსფორმაციის დროს მარტო ბურჟუები და პროლეტარები არ იქნებიან ქვეყანაზე. ჯერ თვით პროლეტარიატის კლასსიც სხვა და სხვანაირ ელემენტებისაგან შესდგება: არიან შეძლებული მუშები ღარიბები, მესაკუთრენი, სხვა და სხვა აზრებითა და მიზნებით გამსჭვალულნი. თუ ეს შეიძლება ითქვას პროლეტარიატზე, მით უფრო მეტი შეიძლება ითქვას სხვა სოციალურ კატეგორიებზე: გლეხები, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია —ყველა ესენი ისეთს სოციალურს კატეგორიას ეკუთვნიან, რომელიც აუარებელ საფეხურებად არის დაყოფილი. მერე სად არის გარანტია იმისი, რომ ეს ჭრელი კალეიდოსკოპი სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფებისა სოციალურ ტრანსფორმაციის დროს აუცილებლად სოციალიზმს განახორციელებს? მონობასა და ბურჟუაზიულ წეს-წყობილებაში აღზრდილი ადამიანი ერთს წუთში ვერ გარდაიქმნება; ამისათვის აუცილებლად დრო და შესაფერი პირობებია საჭირო. დიქტატორი—პროლეტარიატი უეჭველია იძულებული გახდება ძალ-დატანებას მიმართოს, სოციალისტური ორგანიზაცია ძალით მოაწყოს და ძალით აწარმოოს. სოციალისტურ წეს-წყობილების განსახორციელებლად და მასში საცხოვრებლად ცარიელი სოციალისტური იდეები არა კმარა. ამისათვის საჭიროა, რომ შეცვლილ იქმნას მთელი სულიერი ორგანიზაცია ადამიანისა, მისი ფსიხიკა, საჭიროა, რომ მთელი მისი ბუნება შეეთვისოს, შეეგუოს ახალ, დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ხასიათის ცხოვრებას. ამისათვის კი, როგორც ზევითაცა ვსთქვით, ძალიან ბევრი დრო არის საჭირო. თუ დიქტატორმა—პროლეტარიატმა თავის სურვილზე გაუშვა საზოგადოება, ადვილად შესაძლებელია მან სრულიადაც არ განახორციელოს სოციალისტური წეს-წყობილება; მაგრამ სოციალ დემოკრატები ასე არა ფიქრობენ. პროლეტარიატის დიქტატურაც აკი სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს და დეკრეტებით სოციალისტური წესწყობილება დაამყაროს. მაგრამ ძალით სოციალისტურ წეს-წყობილების დამყარება და წარმოების მოწესრიგება იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივი ფორმები და სულიერი ორგანიზაცია ადამიანისა ხელს არ უწყობენ, ისეთი აბსურდია, რომელიც კრიტიკის პირველის ხელის შეხებითვე ჰქრება და ისპობა. ძალით საწარმოო იარაღის ექსპროპრიაცია შესაძლებელია, მაგრამ ძალით სოციალისტურ წეს-წყობილების დამყარება კი ყოვლად შეუძლებელია.

სოციალ დემოკრატები დარწმუნებულნი არიან, რომ დადგება ისეთი დრო, როდესაც პარლამენტის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებისაგან იქნება შემდგარი და მაშინ სოციალიზმის განხორციელებაც ადვილი გახდება. მაგრამ ვინ არის თავმდები იმისა, რომ სოციალურ რევოლიუციის დროს, როდესაც პროლეტარიატი ძველ წეს-წყობილების საბოლოო ლიკვიდაციას შეუდგება, ბევრნი არ ჩამოშორდებიან და მას წინააღმდეგ არ დაიწყებენ მოქმედებას? ეხლა მით უფრო მეტი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ ეს, როდესაც სოციალისტურ პარტიების და, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებამ აუარებელი ისეთი ფაქტი მოგვცა, რომელიც მჭერმეტყველურად გვიმტკიცებს, თუ რა ჯურის სოციალისტები შედიან ხოლმე სოციალისტურს პარტიებში და რაგვარ რევოლიუციონერობას იჩენენ სოციალურ საკითხებში. მაგრამ ამაზე დაწვრილებით ვილაპარაკებ შემდეგ წერილებში, როდესაც სოციალისტურ პარტიებისა და განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკას შევეხები.

**არ. ჯ—შვილი.**

(შემდეგი იქნება)

# რუსეთი

—:—

✦ **გაზეთის დაჯარიმება.** ტვერის გუბერნატორმა 100 მანეთით დააჯარიმა „ვიშ. გოლოს“-ის რედაქცია იმისთვის, რომ გაზეთში დაბეჭდეს პეტერბურგის გაზეთებიდან ამოღებული რაღაც ცნობა.

✦ **საარჩევნო მზადება.** რუსეთში უკვე დაიწყო საარჩევნო მზადება. ყველანი ემზადებიან მომავალ ბრძოლისთვის. „კადეტები“ აგვისტოში კონგრესს აპირობენ. „სახალხო სოციალისტებს“ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, მარტო გამოვლენ საარჩევნო ასპარეზზე თუ შეუერთდებიან სხვა მემარცხენე პარტიებს. მათ ცენტრალურ კომიტეტს დაუდგენია, მოიწვიონ საერთო კონფერენცია გლეხთა კავშირისა და მშრომელთა ჯგუფისა და ეცადონ, რომ სამივე პარტია შეერთდეს და საარჩევნო ბრძოლაში ერთად გამოვიდნენ. „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირმა მარტო პეტერბურგის არჩევნებისთვის 12000 მანეთი გადასდო. დანარჩენ პარტიებს საბოლოოთ ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ (რ. ს.).

✦ **მემარჯვენენი.** სრულიად რუსეთის მემარჯვენენი დიდ ფაცა-ფუცში არიან თურმე. არ სჯერდებიან სათათბიროს გარეკას, საარჩევნო უფლების შეზღუდვას და კიდევ რაღაც სწადიანთ. ამ თვის პირველ რიცხვებში, როგორც ეხლა ირკვევა, მემარჯვენე ორგანიზაციებს და „შეერთებულ თავად-აზნაურთა“ (ესეც მემარჯვენე ორგანიზაციაა) წარმომადგენლებს საგანგებო კრება ჰქონიათ თავიანთ მომავალ მოქმედებაზე მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის ამ კრებას დასწრებია უკვე სახელგანთქმული გურკოც. კრების აზრით, როდესაც მესამე სათათბირო შეიკრიბება, მთავრობამ არც ერთი კანონ-პროექტი არ უნდა წარუდგინოს მას: სათათბირომ მხოლოდ უნდა შეიმუშაოს ის ზომები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება რუსეთის დამშვიდება. როგორც ეტყობა, მემარჯვენეებს იმედი აქვთ, რომ ახალ სათათბიროში უმთავრესი შავ-რაზმელები მოჰყვებიან. კრებას ის აზრიც გამოუთქვამს, რომ მეორე სათათბიროს დათხოვნას და საარჩევნო წესების შეცვლა საკმაო არ არის; თუ მესამე სათათბირომ ვერ შესძლო ხალხის დამშვიდება, მაშინ რუსეთმა სრულიად ხელი უნდა აიღოს წარმომადგენლობით მართვა-გამგეობაზე და განაახლოს უძლიერესი თვით-მპყრობელობა.

✦ **ნიკიტინის საქმე.** რამდენიმე თვის წინათ გაზეთ „რუსში“ დაიბეჭდა რამდენიმე წერილი წინააღმდეგ ტყის დეპარტამენტის დირექტორის ნიკიტინისა, რომელსაც ხაზინის გაქურდვას აბრალებდნენ. ხაზინას აუარებელი ტყე მიუყიდნია ერთ ინგლისის საზოგადოებისათვის მდინარე პეჩორის ერთ ნაპირზე. მეორე ნაპირზე ტყე უფრო კარგი იყო და გამოსაზიდი გზაც კარგი ჰქონდა. ნიკიტინმა მოახერხა და საზოგადოებას მეორე ტყე გააჩეხინა, რის გამო ხაზინას 5 მილიონ მანეთის ზარალი მოუვიდა. „რუსი“ ამტკიცებდა, რომ ნიკიტინმა ამ საქმეზე ხელები მოითბოო, მაგრამ იმ ხანებში ამ საქმეს დიდი ყურადღება არ მიაქციეს. ეხლა, როგორც იყო, სენატმა განიხილა ეს საქმე და გადასწყვიტა ნიკიტინის მიცემა სამართალში. პრესსას რომ ამის გამო განგაში არ აეტეხა, საქმეს გადააფუჩეჩებდნენ, მაგრამ სიმართლემ ბოლოს მაინც თავი გამოყო. (რ. ს.)

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივნისი

## რუსეთში

**ოდესსა.** ოდესსის «წმიდა წყლის რუსთა კავშირს» ნება დაერთო მომავალ სასწავლო წლიდან დაარსოს ქალთა საკუთარი გიმნაზია, სადაც მარტო რუს მართლმადიდებელ ქალებს მიიღებენ. გიმნაზიას ისეთივე უფლებები ექნება, როგორიც მთავრობის გიმნაზიებსა აქვთ.

**ტამბოვი.** ტამბოვის სამაზრო საგანგებო საერობო არჩევნებზე აირჩიეს მონარქისტები და ოქტომბრისტები. მემარცხენეები ზოგი გაამევეს და ზოგმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადა.

**იუზოვკა.** ბეროსტოვო-ბოგოდუხოვსკის მაღაროში ცეცხლმა გაანადგურა სადგომები და შენახული ქვა-ნახშირი. მუშაობა შეუძლებელი გახდა. იღებდნენ კი დღე და ღამეში 50,000 ფუთ ქვა-ნახშირს. დამწვარი შენობა 2,420,000 მანეთად იყო დაზღვეული. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან. ზარალი ნახევარ მილიონ მანეთამდეა. მუშებს დაუყოვნებლივ ანგარიში გაუსწორეს. მუშები დამშვიდებულნი არიან.

**ნოვოჩერკასკი.** სულინოვის საქარხნო სოფლის ფოსტის განყოფილებას მძარცველები დაეცნენ. სამი მათგანი მოჰკლეს.

**ვარშავა.** 16 ივნისს საღამოზე უცნობებმა სროლა აუტეხეს პოლიციელებს, რომელთაც 16 ტუსაღი მიჰყავდათ. მსუბუქად დაიჭრა ერთი პოლიციელი. პოლიციელებმაც სროლა ასტეხეს, მაგრამ ვნება ვერავის ვერ მიაყენეს.

ნოვოვეის ქუჩაზე სამის ტყვიით მოჰკლეს ტოკარი კამინსკი.

**ტომაშევი.** საღამოზე ადგილობრივმა მუშამ ექვსის ტყვიით დასჭრა სტრაჟნიკი ფედოროვი. მუშა დააპატიმრეს.

**ლიუბლინი.** პოლიციამ დააპატიმრა ოთხის კაცისაგან შემდგარი მძარცავთა ბრბო.

კაზაკებმა მოჰკლეს გაქცეული ტუსაღი, რომელმაც სროლა ასტეხა, როცა დასაჭერად გამოედევნენ.

**ვარშავა.** 18 ივნისს საღამოთი სადგურ უტრატასთან ხუთმა მუშამ მოჰკლა ერთი ამხანაგი.

**ხარკოვი.** სად. მერეფაში დასჭრეს ჟანდარმი ზურკოვი, რომელიც კონდუქტორებს დასდევდა ბილეთების გასინჯვის დროს.

**ვილნო.** კოვნოს მახლობლად ვილნოს «ოხრანნი» განყოფილების მოხელეებმა დაიჭირეს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი ბრაუნინგები, მაუზერები და კონსპერატიული მიწერ-მოწერა. ორი კაცი დააპატიმრეს.

**ირკუტსკი.** საღამოთი მოვიდა პეკინიდან ავტომობილით თავადი ბორგეზე, რომელიც პეკინ-პარიზის ავტომობილისთა გაჯიბრებაში იღებს მონაწილეობას.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით შესდგა საგლეხო ბანკის სამი დროებითი განყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს დააჩქაროს საგლეხო ბანკის მიერ შეძენილ მამულების გაყიდვა. ამ განყოფილებებს მინდობილი აქვთ, მოახდინონ საბოლოო ლიკვიდაცია ბანკის მიერ შეძენილ მამულებისა. სამივე განყოფილება ამ დღეებში პეტერბურგიდან გაემგზავრება.

მიწის მოწესრიგების მთავარმა სამართველომ გამიჯვნის სამმართველოსთან მიწერ-მოწერა გამართა მიწის მზომავების რიცხვის გადიდების შესახებ. ახალის გეგმით, თითო გუბერნიაში 15-18 მდე მიწის მზომავი უნდა იყოს და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, კერძო მზომავებიც უნდა დაიქირაონ.

მიწის მოწესრიგების მთავარმა სამმართველომ სცნო, რომ საგლეხო ბანკის მიერ შეძენილი რიგიანად მოწყობილი სახლ-კარი საჭიროების დროს როგორც მთავრობის დაწესებულებებს, ისე საერობო და საზოგადო დაწესებულებებს მუქთად უნდა დაეთმოს. ამ ნაირი სახლ-კარი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად და საზოგადო საჭიროებას მოხმარდება.

**პოლტავა.** პირიატინის მაზრის სოფ. სერგიევკაში იარმარკის დროს გლეხებსა და ჩაჩან დარაჯებს შორის შეტაკება მოხდა. სცემეს პოლიციის ურიადნიკს. ერთი გლეხი მოკლულია, ორი დაჭრილი.

პოლტავის ერობაში აირჩიეს მემარჯვენეები. კადეტები გაამევეს.

**ლუგანსკი.** მდ. ლუგანსკის ნაპირზე ყმაწვილმა კონდუქტორის შვილმა ყუმბარა იპოვნა და თამაშობა დაუწყო. ყუმბარამ იფეთქა და ბავშვი იქვე მოჰკლა.

**ხოსნოვიცი.** 18 ივნისს, საღამოზე მოჰკლეს მუშა ტოკარი.

დღისით მოჰკლეს სტრაჟნიკი.

## უცხოეთში

**პრაგა.** საგიმნასტიკო ვარჯიშობის დროს პირველი საჩუქარი მიიღო ბოჰემიის საზოგადოებამ, მეორე საფრანგეთისამ, მესამე ბელგიისამ, მეოთხე ლიუქსენბურგისამ, მეხუთე სლოვენცებისამ და მეექვსე უნგრეთისამ.

**ვაშინგტონი.** იაპონელების სავაჭრო პალატების მიერ მიღებული რეზოლიუციებში აქაური მთავრობა ჩუმ მუქარას ჰხედავს. ამერიკული საქონლისადმი იაპონელებს ბოიკოტის გამოცხადება სურთ, რაც დიდ ზიანს მისცემს ამერიკის აღებ-მიცემობასა.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა შეუდგა განხილვას კანონ-პროექტისას შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესების შესახებ. მილვუა, ბენუა და ლანიელდი წინააღმდეგნი იყვნენ ამ გადასახადისა. ლუი დრეიფუსმა და პელტენმა მხარი დაუჭირეს. ფინანსთა მინისტრი კაიო დრეიფუსის აზრს მიემხრო. მათის აზრით შიში იმისა, რომ საფრანგეთის კაპიტალი უცხოეთში გადავა, უსაფუძვლოა.

**მონპელიე.** საბრალმდებლო კამერამ უარჰყო საქმის სასამართლოში გარჩევამდე შუამდგომლობა ფერხულის, მარსელენ ალბერის და არბელის კომიტეტის სხვათა წევრთა განთავისუფლების შესახებ.

**ნიუ-იორკი.** გაზეთების ვარშაველი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ამერიკის მთავრობამ გადასტყვიტა გაგზავნოს დიდ ოკეანეში 16 სამხედრო გემი.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.


# განცხადებანი

## აუქციონი

### ამიერ-კავკასიის სახაზინო რკინის გზების

გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 27 ივნისს, დილის 9 საათზე, ნავთლუღის სადგურზე, ნავთის მილის შენობის საწყობში, დანიშნულია სააუქციო გაყიდვა ქონებისა, რომელიც ხმარებაში იყო, სახელდობრ: ხის საცხოვრებელ შენობებისა, სახელოსნოებისა, საწყობისა, სარაიებისა, დასაშლელ და გადასატან ბარაკებისა და სხვა საქონლისა და ინვენტარისა.

დაწვრილებითი პირობები აუქციონისა და აწერილობა გასასყიდად დანიშნულ ნივთებისა მსურველს შეუძლიან ნახოს ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე: 1. ნავთის მილის საამშენებლო კანტორაში, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 99 და 2; 2. ბაქოს, განჯის და ბათუმის სადგურების უფროსებთან.

(3—6.—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



## საჭიროა

თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5.** (100—71—35)

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა

## ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—16)


# პასუხი

ორ მაისის «ისრის» მე-94 ნომერში საამხანაგო სამართალში გამოვიწვიე გაზეთ «ლამპრის» და „წინის“ ველისციხელი კორესპონდენტები, რომელნიც მე ცილსა მწამებდნენ, ვითომ მე ვიყო ხალხის მტერი, ქურდი და სხვა. ვადა მივეცი ათი დღე, მაგრამ აგერ თვე ნახევარი მეტი მიდის და ზემოხსენებულ გაზეთების კორესპონდენტები ხმას არ იღებენ. ამ გვარად დამტკიცდა, რომ ის კორესპონდენტები სწერდნენ ჩემზედ სიცრუეს, არიან ცილის მწამებელნი, სხვა და სხვა, მათ მიერ ჩადენილ საზიზღარ საქმეებისა გამო, მოსაზრებით. ამ გვარად, როგორც ჩემ წერილში იყო ნათქვამი, პირობა (იხილე „ისარი“ № 94) საამხანაგო სამართალში ვინც გამტყუნებულიყო (და რომ მტყუვნები და ცრუები არიან, ეს აშკარაა, ვინაიდან ისინი გაექცნენ სიმართლეს და სინათლეს), ის არის ნამდვილი ავაზაკი, მოღალატე ხალხისა, ქურდი და გლეხების მცარცველი, თუ თვითონ სოროებში შეძვრნენ და შეეშინდათ ბ-ნთ კორესპონდენტებს, გამოიწვიონ ახლა მე საამხანაგო სამართალში, ვნახოთ დაუმტკიცებ, რომ ისინი არიან ქურდები, მცარცველები და ნამდვილი ხალხის მოღალატენი და არა «პარტიის ხალხი»!

ველისციხის მამასახლისი დარჩო **ისაკოვი.**

(1—107—1)


პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**კ. ი. გელიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—98)

## ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ

„Дзмоба“ „ძმობა“

მახარობა

ТЕЛЕФОНЪ № 1036.

въ ТИФЛИСЪ

Головинскій проспектъ

საკუთარი ვენახებიდან

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—69)

კურსები კავკასიაში.

ერთად-ერთი

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი**

ბუხჰალტერიისა და საკანტორო ცოდნის კურსები

## გ. ა. პირაპოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმანგიტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები.

(10—124—5)

**რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ**



## ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

ნარდაა შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნეიშელლერ“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—35)


სტამბა „ოდიანი“ (მ. დ. კიკნაძ-სა) ნიკოლოზის ქ. № 6